



## საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 2449 2021 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში  
„მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებელთა  
„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების  
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით  
გათვალისწინებული ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული არარეზიდენტი მომხმარებლები ამავე სისტემაში ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვისას გათავისუფლდნენ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისგან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი